



# საქართველოს ქორეოგრაფია

ბამოდის 1992 წლის იანვრიდან

№5 (46), ნოემბერი,

2013 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

C  
M  
Y  
K

**ნომონ  
შეიქმნა ცეკვა  
„ბანდაბანა“**

**გვ.6-7  
(„ჯაყლანანადან“  
„ბანდაბანამდა“)**



**მოკალაბული  
ფიქრები და **გვ.3**  
აუხდენელი ოცნებები**




**ქართული  
ქორეოგრაფიის  
ღიღი  
მოჭირნახულა  
**გვ.7****

**აჭარული  
ცეკვების  
ოსტატი  
**გვ.5****



**გვ.2  
რუმო რხეიძისა და რუმო ბულიას  
სღაპო სეზონის საკითხადრო ბაჰარში**

**ფესტივალ-კონკურსი  
„ოქროს შემოდგომა“  
**გვ.10****




**სოფიკო  
იაშვილი  
**გვ.4****

**S O S!  
**გვ.10**  
გადავარჩინოთ  
გაზეთი  
«საქართველოს  
ქორეოგრაფია»!**

**ქალაქ თბილისის მერს  
ბატონ  
გ. უგულავას **გვ.4****





### რეზო ჩხეიძისა და რეზო ბულიას სალამო საეზოს საკათედრო გაკერვი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა მიმდინარე წლის 10 ნოემბერს, სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდული კულტურის ცენტრში, ჩაატარა ზუგდიდში მოღვაწე ქორეოგრაფების **რეზო ჩხეიძისა** და **რეზო ბულიას** შემოქმედებისადმი, საქმიანობისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ბატონი **რეზო ჩხეიძე** 85 წლისაა, **რეზო ბულია** კი – 80-ის. მთელი თავისი შეგნებული და შემოქმედებითი ცხოვრება ორმა ბატონმა ქართულ ქორეოგრაფიულ კულტურას, მომავალი თაობის ესთეტი-

კური აღზრდისა და პროფესიული განვითარების საქმეს მოახმარა.

სალამომ თბილ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. ქართული სცენის უდიდესმა ოსტატებმა: ომარ მხეიძემ, ფრიდონ სულაბერიძემ, თენგიზ უთმელიძემ, რეზო ჭანიშვილმა, ჰამლეტ კობეშვიძემ, გელოდი ფოცხიშვილმა, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის მთელმა გამგეობამ უდიდესი პატივი მიაგო ბატონების რეზო ჩხეიძისა და რეზო ბულიას მიერ განუღო საქმიანობას. ისინი დაჯილდოვდნენ საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით.





# მოქალაქეული ფიქრები და ახსენიანი ოცნებები



ნური ტორაკჯი

დღეისათვის სასიხარულო, სასიამოვნო ინფორმაციები ნაკლებად ისმის, უარყოფითი აურის მატარებელი ამბები სჯობნის, დღე დღეს მისდევს, კვირა – კვირას და ასე შემდეგ... უნერია კი ახდენა ჩვენს ოცნებებს? შეასრულებს მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტის კანცელარია თუნდაც 10%-ს თავიანთი დანაპირებისა? ან როდისმე მოხდება ისე, რომ განიხილონ აქტიუალური საკითხები, გამოიტანონ რეალური დასკვნები და მიუზღონ „კეისარს კეისრისა“?

ეს სურვილი, ალბათ, აუხდენელი ოცნებათა სკივრში ინახება, მაგრამ ოდესმე ჩვენამდეც ხომ უნდა მოაღწიოს? თუ უნდა დავრჩეთ ამ მდგომარეობაში და ველოდოთ? მაგრამ როდემდე?

გავიდა 23 წელი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის დაფუძნებიდან და სამი წელი ახალი გამგეობის არჩევიდან, როგორც გასული ორი ათეული წლის წინათ, ახლაც ახალმა არჩეულმა გამგეობამ კავშირის პრობლემების შესახებ მიმართა თხოვნით და მიანოდა ინფორმაცია პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ქალაქის მერიას. პრობლემები ბევრია: კავშირს არა აქვს ბინა, ფინანსები, რათა დაეხმაროს ვეტერანებს, გაჭირვებულებს. კავშირს ჰყავს თავისი აპარატი, რომლის გარეშეც მისი მუშაობა წარმოუდგენელია, ამისათვის საჭიროა ფინანსური უზრუნველყოფა, თუნდაც მცირე ხელფასებით, მაგრამ საიდან? შემონიშნულობებით შორს ვერ წავალთ.

კავშირის გამგეობა, საპატიო მრჩეველთა საბჭო, უზუცესთა საპატიო საბჭო, რეგიონალური გამგეობები, კავშირის ახალგაზრდული ფრთა ატარებს უამრავ ღონისძიებას, – საიუბილეო შემოქმედებით და ხსოვნის საღამოებს, სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებებს, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებს, სემინარებს, ტრენინგებს, სერთიფიცირებას – ეს იმ დროს, როცა არ გააჩნიათ არც ბინა და არც ფინანსები.

დარწმუნებული ვარ, თუ კავშირს ექნება საკუთარი ქერი და ფინანსური საშუალება სახელფასო განაკვეთებით, ისინი გაორმაგებული ენერგიით გააგრძელებენ მოღვაწეობას და ტოლს არ დაუდებენ არცერთ სახელმწიფო ორგანიზაციას.

ჩვენი თხოვნა რჩება ხმად „მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. რა გახდა ორი-სამი ოთახი საოფისე ფართად, ან უზურფუტით, ან თუნდაც იჯარით, რომელიც იქნება გრძელვადიანი.

რა მოხდება თუ სახელმწიფო დოტაციაზე აიყვანს ქორეოგრაფი-

ის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს და ამისათვის პირობითად ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს წლიურ 120 000 ლარს. ამით ჩვენი ბიუჯეტი არა მგონია დაზარალდეს. გვეუბნებიან: გამონახეთ თავისუფალი ფართი და დაგიკანონებთო. ჩვენ სად ვნახოთ თავისუფალი ფართი, ყველა ფართი ხომ თქვენია, „ძლიერთა ამა ქვეყნისა“.

რამდენი საბავშვო ბაღი და ყოფილი პოლიციის შენობაა დაკეტილი, ანტისანიტარიისა და სიბინძურის ბუდედ არის ქცეული, არ უნდა გამოჩნდეს ვინმე მთავრობიდან, პარლამენტიდან, კანცელარიიდან, მერიიდან და იმ სამინისტროებიდან ასეთ აქტიუალურ საკითხზე რომ დაფიქრდეს? გადასანყვეტი გადანიყვიტონ, თუ ჩვენგან ელოდებიან საპროტესტო პასუხებს? რომ იცოდეთ, ჩვენ ცოტანი არ ვართ – ღმერთის წყალობით.

პედაგოგთა დახელოვნებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში ჯერ შეგვიშვეს, ძვირადღირებული რემონტი გაგვაკეთებინეს და 7 თვეში უკან გამოგვყარეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს გააკეთა ქალაქის განვითარების ფონდმა. ნეტავ განახათ რას დაემსგავსა იქაურობა, ნორმალურია ასეთი საქციელი? ან ფინანსური კომპენსაცია სად არის? ვის მივმართოთ, ვინ არის განმკითხავი ამ გაგანია კოჰაბიტაციის პერიოდში? ნორმალურ ქვეყნებში ყველა შემოქმედებითი კავშირებს, გაერთიანებებს, ასოციაციებს სახელმწიფო კურირებს, რამეთუ ისინი კომერციული სტრუქტურები არ არიან, ჩვენთან კი რა ხდება? ერთი უაზრო პასუხი თუ გაღირსეს, იმაზეც მაღლობას ელიან, რომ თითქოს ყურადღების ღირსნი გაგვხადეს.

არ შეიძლება ასე ექცეოდეთ ხელოვან მუშაკებს, პედაგოგებს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი დამოკიდებულება?

კი, თითქოსდა აფასებენ მართლაცდა დასაფასებელ, გამოჩენილ, თითო-ოროლა ცნობად სახეებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ნუ დაივიწყებთ იმ ცნებას, რომ გენიოსებს, ნიჭიერებს, გამორჩეულებს მასები შობენ, ნუ კლავთ მასიურობას, სულ მალე მიიღებთ ისეთ შედეგს, რომ ბავშვებს ცეკვაზე მშობელი აღარ ნაიყვანს. ეს იქნება ყველაზე დიდი ტრაგედია ჩვენი ხალხისათვის, რამეთუ ცეკვა და თვითონ მისი აღმატებულება ქართული ცეკვა, ქართველთა სულის ყვილია, მისი გენეტიკური კოდა.

ნუ გააკეთებთ ისე, როგორც ქართულ ფეხბურთს მოექცეით, უმიზნოდ და უაზროდ გადაყრილმა ფულმა უკვეჩვენებით იმუშავა ქართულ ფეხბურთში.

დათვალეთ რამდენია საჭირო ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის ასაღორძინებლად, განვითარებისათვის, ამისთვის არსებობს ფინანსთა სამინისტრო, მოიწვიონ გამოცდილი

ქორეოგრაფ-პრაქტიკოსები, თეორეტიკოსები და გამოიყოს რაღაც რაოდენობის თანხა ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის გადასარჩენად, თუნდაც 3-4 მილიონი ლარი, რაც არც ისე დიდი ციფრია 9 მილიარდიანი ბიუჯეტის მქონე სახელმწიფოსთვის, არ მინდა დავიჯერო, რომ მართლაც პერმანენტულად ქმნიან ისეთ სიტუაციას, რომ ყველაფერი ეროვნული გამზადებულია გასანადგურებლად. რას ველოდებით, როგორც ხედავთ საქმე არც ისე კარგად გვაქვს, გამოვფხიზლდეთ, თუ არა, ამ პოლიტიკურ ვაკანალიაში ისე გადაჰყვება ბავშვი ნაბანწყალს, რომ ვერც კი მოვასწრებთ უკან მოხედვას! მიხედეთ ქართულ ქორეოგრაფიას, მიხედეთ საბავშვო ქორეოგრაფიას, სანამ გვიან არ არის!

ჩვენა გვყავს უნიკალური სახელმწიფო ანსამბლები: „სუხიშვილები“ მართლაც რომ ქართული ქორეოგრაფიის ბრენდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები – „ერისიონი“, „რუსთავი“, აჭარის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ანსამბლი „მეტეხი“, „სამაია“ მუნიციპალური ბრწყინვალე ანსამბლები, ანსამბლები უნივერსიტეტებით, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. იმ გრანდიოზულ ანსამბლებს თავიანთი ქორეოგრაფიული სტუდიებიც აქვთ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეს საკმარისი არ არის. ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს ქორეოგრაფიული სტუდია, რომელიც ბატონი მინისტრის ხუშტურებს არ უნდა შეენიროს უაზროდ და უმიზნოდ, როგორც ნათქვამია, უსაქმური კაცის ანდაზა, ისე მოუვიდათ. რა უნდოდათ სტუდიებთან, როგორც ახლა, მაშინაც მშობლის კეთილი ნებით ფუნქციონირებდნენ. გაჭირვებამ საბავშვო ქორეოგრაფიიდან დოლ-გარმონი განდევნა, რაც ჯერ არა ჩანს, მაგრამ მალე ცუდად აისახება საცეკვაო კულტურაზე, მაგის მომსწრენიც გავხდებით. საქართველო ხომ ექსპერიმენტების ქვეყანაა! ხალხს უჭირს, მშობლები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. გადავყვეთ ამ პოლიტიკურ ვნებებს, როდის უნდა მოიცალოთ ბავშვებისთვის, ხელოვანთათვის, პედაგოგებისთვის? თქვენ იცხოვრებთ 300 ლარიანი ხელფასით? გვასწავლეთ მაინც როგორ ვიცხოვროთ 300-400 ლარად! მაშ, რა ქნას მშობელმა? მასწავლებელმა? შეეშველეთ ქართულ ქორეოგრაფიას, საბავშვო ქორეოგრაფიას. მიაქციეთ ყურადღება საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს, რომელიც ასე უყურადღებოდაა ორი ათეული წელია. როდემდე? ის ამას არ იმსახურებს. იქნებ და გათენდეს დღე, როცა ყველა ეს პრობლემა მოგვარდება და თქვენ დარწმუნდებით, რომ შედეგიც არ დააყოვნებს. ამ პრობლემების გადაჭრა აუცილებლად დადებითად აისახება წარმატებულ წინსვლაზე.

არაფერს ვითხოვთ ზებუნებრივს: – ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს ჰქონდეს ოფისი, 120 000-იანი წლიური ბიუჯეტი. გამოიყოს 3-4 მილიონი ლარი საბავშვო ქორეოგრაფიისთვის, ყველა სკოლაში იყოს ოფიციალური სამტატო ერთეულები:

ქორეოგრაფის 1 შტატი  
მუსიკოს-აკომპანიატორების 2 შტატი

– ისე, როგორც ორი ათეული წლის წინათ ახერხებდნენ ამას. ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს ეროვნული კოსტიუმი 30-40 ერთეულზე. ამ მოთხოვნებმა შეიძლება მავანთ პირზე ღმილი მოჰგვაროთ, მაგრამ ჩვენ კიდევ შემოგძახებთ – მიხედეთ მისახედს, სანამ კიდევ დროა, ნუჭრით იმ ტოტს, რომელზეც ჩვენი შვილები და შვილიშვილები სხედან.

ლამაზია სამეფლისო ცეკვები და სხვა ცეკვები, რა თქმა უნდა, უნდა განვითარდეს, პოპულაცია უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არა ქართული ცეკვების ხარჯზე. ჯერ ქართული ცეკვებისთვის გაიმეტონ საეთერო დრო ჩვენმა სასიქადულო ტელეკომპანიებმა და პარალელურად ყურადღება მიაქციონ სხვა საცეკვაო ჟანრებსაც. თუ ქართულად ვერ აზროვნებ, ვერ საუბრობ, თუ შენი საკუთარი არ გიყვარს და არ აფასებ, მაშინ შენ ვერც სხვათა კულტურას ეზიარები. თუ შოთა, აკაკი, ილია, იაკობი, ვაჟა, გალაკტიონი, ტატო ბარათაშვილი, კონსტანტინე, ჭაბუა და სხვები – უდიდესი კლასიკოსები არ გემშობლიურება, მაშინ ვერც მსოფლიო კლასიკოსთა შემფასებელი იქნები.

მიხედეთ ჯერ ჩვენსას, ჯეროვნად დავაფასოთ, ხელი შევუწყნოთ, შევუქმნათ პირობები და მაშინ სხვასაც დავაფასებთ. ეს ცხოვრების შეუქცევადი კანონია, ნუ ვულაატებთ მას, რათა ბუმერანგით უკან ცუდად არ შემოგვიბრუნდეს, როგორც მომხდარა და ხდება: გზა მაშინ გამოგვიჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდება, მანამდე კი ამ გზას ვერ ვპოულობთ, ან არ გვიანდა ვიპოვოთ!

აი, გზაც გამოჩნდა, პრობლემებიც სახეზეა, მინიშნებებიც და მიზნებიც!

ნეტავ, დაინტერესდება ვინმე არ პრობლემებით?

საკითხავი, აი, ეს არის!

ნური ტორაკჯი

ქორეოგრაფი, ქართული ქორეოგრაფიის  
ამაგდარი, ღირსების ორდენის კავალერი



# სოფიკო იაშვილი



ჭიერი ახალგაზრდა, 1957 წელს, ახლადჩამოყალიბებულ თბილისის ახალგაზრდულ ცეკვის ანსამბლში ჩარიცხეს, რომელსაც გამოჩენილი ქორეოგრაფი **გიორგი (ზუსუტი) დარახველიძე** ხელმძღვანელობდა. ამ ანსამბლში, სადაც თავმოყრილი იყო ქართველ მოცეკვავეთა იმდროინდელი უნიჭიერესი თაობა, დაიხვეწა სოფიკო იაშვილის საშემსრულებლო ოსტატობა, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი შემდგომი ხანგრძლივი მოღვაწეობა, როგორც მოცეკვავისა. ამ პოპულარულმა ახალგაზრდულმა ანსამბლმა 1957 წელს მონაწილეობა მიიღო ქ. მოსკოვში

1960-1961 წლებში სოფიკო იაშვილი წარმატებით ცეკვადა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში დიდი **ჯანო ბაგრატიონის** ხელმძღვანელობით.

სცენური მომხიბვლელობით დაჯილდოებული პერსპექტიული მოცეკვავე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს და 1961 წელს სოფიკო იაშვილი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მიიწვიეს მოცეკვავე-მსახიობად. პროფესიულ ანსამბლში მუშაობამ სრულად წარმოაჩინა მოცეკვავის შესაძლებლობანი. შესანიშნავი სცენური გარეგნობა, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი კდემამოსილება და სინატიფე გახდა სოფიკო იაშვილის წარმატების საწინდარი. 24 წელი ცეკვადა ის ლეგენდარულ ანსამბლში, მასთან ერთად მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ცეკვის ტრიუმფალურ წარმატებებში.

სოფიკო იაშვილის ხელოვნება განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცეკვებში: „სამაია“, „ქართული“, „სიმდი“, „დავლური“ და სხვა.

აკადემიური ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ სოფიკო იაშვილმა თავისი შემოქმედებითი გზა გააგრძელა როგორც პედაგოგმა. 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ნაყოფიერად მუშაობდა ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ცეკვის სკოლა-სტუდიაში და თავის გამოცდილებას ახალბედა მოცეკვავეებს უზიარებდა.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სოფიკო იაშვილს მინიჭებული

ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდოები.

სოფიკო იაშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში. მისი სილამაზით აღსავსე, განუმეორებელი ქართული ცეკვა და ნათელი სახე მარადყამს დარჩება მოსაგონრად მეგობრების, კოლეგებისა და თავყანისმცემელთა გულეში.

**რეზო ჭანიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხვიტიანი, თამაზ კიკალიშვილი, ოლეგ ალავეიძე, ჯუმბერ ბერაძე, გივი სურვილაძე, ილიკო თავაიშვილი, შალვა გარუნავა, ჯემალ გეგუნაძე, თენგიზ მინდიაშვილი, რეზო ჭოხონელიძე, ნინო კირვალიძე, იაშვი დოლაბერიძე, მანანა აბაზაძე, შპია ყანჩაველი, ზაირა ბასილაშვილი, ინგა თევზაძე, ნანა კვაჭანტირაძე, ელენე წერეთელი, ბელა კაპანაძე, რუსუდან ენუქიძე, ნათელა გუგულაშვილი, გულიკო ჭრიკიშვილი, რუსუდან ჭრიკიშვილი, ლია ხაზარაძე, ნელი ვერუღელიშვილი, ია სახვაძე, ნელი ზაქოძია, გურანდა გაბუნია, მადლენ ნიჟარაძე, ლამარა უთმელიძე, დოდო დარახველიძე, გურამ ვარდოსანიძე, გოგი შენგელია, გივი შალიკაშვილი, თამაზ გოგოტიშვილი, მილერ ცირეკიძე, ზაზა ცერცვაძე, ბეჟან სურმაგა, ბადრი ცხოვრებაული, ომარ ზურციძე, რომან ბირთველიშვილი, ჯეირან გოგინავა, როლანდ ტატიშვილი, თენგიზ ჯავახიშვილი, ომარ ზუბაევი, თამაზ ლოღობერიძე, ჯუმბერ დუნდუა, თამაზ მოსია, ომარ ლომსაძე, ნოდარ კასრაძე, კობა კობერიძე, გელოდი ფოცხიშვილი, იური ტორაძე.**

ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას გამოაკლდა მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ყოფილი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ულამაზესი ქალბატონი **სოფიკო იაშვილი**.

სოფიკო იაშვილი დაიბადა 1938 წლის 25 იანვარს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში. არაჩვეულებრივი გარეგნობის გოგონა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლესთან არსებულ ქორეოგრაფიულ ნრეში მიიღეს, სადაც 1951-1956 წლებში ქართული ცეკვა ცნობილმა პედაგოგებმა და ქორეოგრაფებმა **ანტონ ჩიხლაძემ** და **რომან ჭოხონელიძემ** შეასწავლეს.

ქართულ ცეკვაზე შეყვარებული ნი-

გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალში და დიდი წარმატება მოიპოვა. სოფიკო იაშვილი ამ ანსამბლთან ერთად გახდა მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.

მოსკოვში, ფესტივალის დღეებში, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მოღვაწეთა გამოვენაზე, საქართველოს პავილიონში, გაიმართა გრანდიოზული, ტრადიციული ქართული ქორნოლი, რომელზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები იყვნენ მინვეული. ამ ულამაზესი დღესასწაულის დედოფალი **სოფიკო იაშვილი** გახლდათ, სიძე კი – მისი მეუღლე, მოხდენილი ქართველი ვაჟკაცი, მოცეკვავე **ჯემალ კიკნაველიძე**.

## ქალაქ თბილისის მერს ბატონ გ. უგულავას ბატონო გივი,

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა მასშტაბური წარმატებები და პოპულარობა მოიპოვა ქართულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს მსოფლიოში. ქართულმა ცეკვამ ალაფრთოვანა ჩვენი პლანეტის მილიონობით მაყურებელი ჩვენი უნიკალური და უძველესი ფენომენი – ქართული ცეკვა აღიარა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. მან ღირსეული და სამართლიანი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ქართული ქორეოგრაფიის განვითარებასა და გრანდიოზულ წარმატებებში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით სხვადასხვა დროის თაობების წარმომადგენლებს – გამოჩენილ მოცეკვავეებს, ქორეოგრაფებსა და პედაგოგებს, რომელთა ნიჭიერებამ, თავდადებად და შრომამ, პროფესიონალიზმმა და ქართული კულტურის უსაზღვრო სიყვარულმა დღემდე მოიტანა ქართული ქორეოგრაფიის არნახული ალზევება.

ამ ამაგდარ მამულიშვილთა შორის უპირველესად არიან ქართული ქორეოგრაფიის პატრიარქები – პირველი

ქართული პროფესიონალი მოცეკვავე და პედაგოგი **ალექსანდრე (ალექსი) გიორგის ძე ალექსიძე (ნამდვილი გვარი სონულაშვილი) (1874-1934)** და ბალეტმაისტერი, ქორეოგრაფი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი **დავით ლავრენტის ძე ჯავრიშვილი (1894-1971)**.

ალექსი ალექსიძე 1896-1924 წლებში იყო თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი-მოცეკვავე. ცეკვადა საოპერო დადგმების ქორეოგრაფიულ სცენებში (მ. გლინკას „რუსლან და ლუდმილა“, და ა. რუბინშტეინის „დემონი“). ა. ალექსიძე 1895 წ. პარიზში გამართულ მსოფლიო ეთნოგრაფიულ გამოვენაზე ქართული ცეკვის შესრულებისათვის დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ამ წლიდან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი ქართულ ხალხურ ცეკვას ასწავლიდა წმ. ნინოს სახელობის ქალთა დახურულ სასწავლებელში. 1902 წელს ა. ალექსიძემ თბილისში დააარსა აღმოსავლური ცეკვების სტუდია (1920 წლიდან ქართული ეროვნული ცეკვების პირველი სტუდია), რომელსაც სათავეში ედგა 1934წლამდე. მისი მონაწილეები იყვნენ ილიკო სუხიშვილი, რომან ჭოხონელიძე, მიხეილ სულხანიშვილი, ანტონ ჩიხლაძე – შემდგომში გამოჩენილი მოცეკვავეები, ქორეოგრაფები და პედაგოგები და სხვები.

1916 წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა, რუსული ბალეტის რეფორმატორმა მიხეილ ფოკინმა მაღალი

შეფასება მისცა ა. ალექსიძის ხელოვნებას და მისგან კავკასიური და, კერძოდ, ქართული ცეკვის გაკვეთილებიც მიიღო, რაც შემდგომ თავის მდიდარ შემოქმედებაშიც გამოიყენა.

დავით ჯავრიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო როგორც სპორტსმენმა. 1919 წელს თბილისში დააარსა პირველი სპორტსაზოგადოება „ამირანი“. იყო სპორტსაზოგადოება „მეგარდენის“ აქტიური წევრი. 1926-31 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმში მის მიერვე დაარსებულ ექსპერიმენტულ სტუდიას, აგრეთვე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. 1932 წლიდან დ. ჯავრიშვილი ცხოვრობდა თბილისში. 1933-53 წლებში იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტმაისტერი. წარმატებით დადგა ცეკვები ოპერებში „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „კაკო ყაჩაღი“, „დემონი“ და სხვა. 1934-51 წლებში ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ თბილისის ქორეოგრაფიულ სტუდიას, რომელსაც 1935 წელს მიუერთა მარია პერინის საბალეტო სკოლა. ეს დაწესებულება შემდეგ გადაკეთდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებლად, რომლის დირექტორიც დ. ჯავრიშვილი იყო.

1942-44 წლებში დ. ჯავრიშვილი განაგებდა სცენური მოძრაობის კათედრას საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. 1953 წლიდან

იყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი. აქ მან ალადგინა ქართული ცეკვების მივიწყებული მოძრაობები და ილეთები, რომლებიც თავის დადგმულ ცეკვებში გამოიყენა. დ. ჯავრიშვილი ავტორია ფუნდამენტური შრომებისა ქართული ქორეოგრაფიის დარგში („ქართული ხალხური ცეკვები“, „ქართული ცეკვების ჩანერის პირობითი ნიშნები“ და სხვა).

ბატონო გივი, დღეს, როცა ინტენსიურად მიმდინარეობს თბილისის შეუქცევადი აღმშენებლობითი პროცესი და ჩვენი დედაქალაქის მრავალ ქუჩას შეეცვალა სახელი, ვიცით რა თქვენი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ ქართული კულტურისადმი, მრავალრიცხოვანი ქართული ქორეოგრაფიული საზოგადოების სახელით მოგმართავთ თხოვნით, რათა განხილულ იქნას საკითხი თბილისში, რომელიმე ქუჩისთვის ქართული ქორეოგრაფიისა და ქართული კულტურის გამოჩენილი მამულიშვილების ალექსი ალექსიძისა და დავით ჯავრიშვილის სახელების მინიჭების შესახებ.

პატივისცემით,  
საქართველოს ქორეოგრაფიის  
მოღვაწეთა შემოქმედებითი  
კავშირის სახელით:

თ. უთმალიძე



# აჭარული საქვების ოსტატი

დაბა ჩაქვიდან სულ ხუთი-ექვსი კილომეტრითაა დაშორებული სოფელი ხალა. ამ სოფლის ხალხი ყოველთვის ხასიათდება დაუზარელი შრომით. სასიცოცხლო, საარსებო საშუალებანიც არასდროს გამოლევიან. გამტანიანობა და ერთმანეთის მხარში დგომაც გაეგებოდათ. მოლხენაც სცოდნიათ. სახალხო დღესასწაულებში, სტუმრიანობისას ერთმანეთს ახალისებდნენ ხალხური სიმღერებით, ცეკვებით, გაშაირება-თამაშობებით. ყოველივე იგი ვასაძეთა ოჯახის გვერდის ავლით არ იქნებოდა, ჩინებულად ჰქონდათ შემონახული წინაპართაგან გადმოტანილი სასიმღერო და საცეკვაო მონაპოვარნი. მემკვიდრეობითობამ, რომ იტყვიან შუქი აინთო, ძმებმა ომარ და თემურ ვასაძეებმა მეტი ნიჭიერებით შეისისხლბორცეს ხალხური შემოქმედების უხვი სიკეთე.

დრომ და ვითარებამ ცხოვრების ცვლილებებისა წლებიც მოლეს. ომარ ვასაძე 88 წლისაა, მისმა ძმამ თემურ ვასაძემ ახლახან დაიმშვენა სამოცდამეთხუთმეტე მასის.

თემურ ვასაძე



ცამეტი წლით უფროსია ბატონი ომარი თავის უმცროს ძმაზე. სწორედ მან გადადგმევინა თემურს პირველი საცეკვაო ნაბიჯები. მეტიც, სცენასაც მანვე აზიარა. ის კი არადა, გულისგულში ჩაულვარა ქართული (აჭარული) ცეკვის შთამაგონებელი სიყვარული. მერე კი გვერდით დაიყენა და, ათეული წლებია ერთად, სახელოვნად ასპარეზობენ ცეკვის ხელოვნებაში.

თემურ ვასაძე არასდროს კმაყოფილდებოდა თავისი პრაქტიკული შესაძლებლობებით. ცდილობდა მეტი გამოცდილება, ცოდნა შეეძინა, რადგან ცეკვის შემოქმედებას არც თუ ისე ცოტა მოთხოვნები გააჩნია. საამისოდ აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლში გაიარა საკვალიფიკაციო კურსები.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში საკვალიფიკაციო კურსებზე სასწავლო-პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდნენ ქართული ცეკვის ღრმად მცოდნე ქორეოგრაფები ალექსანდრე ჯიჯეიშვილი და ენეერ ხაბაძე. რა თქმა უნდა, ცეკვის თეორიული საკითხებიცაა აინტერესდნენ ახალგაზრდა მოცეკვავეებსა და დამდგმელ ხელოვნებს. თემურ ვასაძე ხშირად იტყვის: „მამაპაპური შემოქმედების გარეშე ვერ ვიქნებით, მაგრამ სხვა აუცილებლობათა გვერდის ავლითაც ფონს ვერ გავალთ“. ამიტომაც, ყველა დროს, შესაბამის საშუალებას პოულობდა, რომ დასწრებოდა ქართული ცეკვის თეორიულ და პრაქტიკულ სემინარებს.

ასეთი სახის შეკრებებს ბათუმში, საჭიროებისამებრ, ატარებდნენ საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის გამოცდილი პიროვნებები. თემურ ვასაძე კმაყოფილებით იხსენებს ქართული ქორეოგრაფიის თეორეტიკოსის ავთანდილ თათარაძის, საინტერესო პედაგოგ-ქორეოგრაფის კონსტანტინე მანჯგალაძის და ჩინებული შემოქმედის მიხეილ შუბაშვილის მიერ გამართულ სასწავლო სემინარებს. იგი ამ ღონისძიებებზე მარ-

ტო მსმენელის როლში არ ყოფილა. მისი აჭარული მხარულ-განდაგანის მიქცევა-მოქცევანი საყურადღებო შთაბეჭდილებას ტოვებდა სემინარის დამსწრეებში. თემურთან ერთად მისივე მამიდაშვილი თემურ ბაგრატიონიც ასრულებდა ხალხურ საცეკვაო „საგანდაგანობებს“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნები-სმიერ ხელოვანს საშემსრულებლო ნიჭის გარდა, შრომისმოყვარეობის ნიჭიც უნდა ჰქონდეს. სწორედ ღვთის ბოძებული ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობის ნიჭით მიიღწევა საოცნებო სანადელო. თემურ ვასაძეს მშობლებისგან მოსდგამს ეს მაღლიანი თვისებები. დღენიდავ, მოუქანცველად მუშაობდა თავის ძმასთან ერთად. ინდივიდუალურადაც ხვდნა, მგრძობიარე გულიდან ამოჰქონდა აჭარული ხალხური ქმნილებების თვალად „საცეკვაოები“, სხვაგვარად სცენურ ლექსიკას რომ დავარქმევდით. გასაკვირი არაა თემურ ვასაძის ასეთი განმარტება: „ინდივიდუალური შემსრულებლობა, ერთი შეხედვით, თითქოს ადვილია, მაგრამ მთლად ასე არაა. ნაქებ ინდივიდუალურ შემსრულებელში თანაბრად თავსდება საკუთარი და ზოგადი „საცეკვაოები“. ასეთად გვესახება თემურ ვასაძის ყველა სცენური სახეობა, იმპროვიზირების თვისებებითაც რომ გვანონებს თავს... იგი მღელვარე სულის ოსტატია, საკმაოდ ხატოვნად გადააქვს მაყურებელში თითოეული ილეთ-მოძრაობის ფერადონება. სწორედ, ამგვარ შემსრულებელთა საცეკვაო ეპიზოდები ზოგადდება, ვრცელდება სხვა კოლექტივებსა და შემსრულებლებში. მეოცე საუკუნის სამოციანი წლების შუახანებიდან აჭარაში უფრო იკიდებს ფეხს ოჯახური საცეკვაო და სასიმღერო ჯგუფები. ამ წამოწყების მოთავე იყო აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყველასთვის ცნობილი შემოქმედი ალექსანდრე ჯიჯეიშვილი.

საგვარეულო ჯგუფების გამოვლენის დიდი ინტერესით აღიქვა ხელოვნების მოყვარულებმა, საზოგადოებამ... თვალნათლივ გამოიკვეთა ვასაძეთა ოჯახის ხელოვნებაც. ომარის ვაჟიშვილმა დათო ვასაძემ ნიჭიერად აუბა მხარი მამისა და ბიძის თემურ ვასაძის ნაქებ სცენირებას. საუცხოოდ აანყვეს „მხარულ-განდაგანას“ ნახაზი. მასში მუსუბამობას ვერ ვხედავდით. ცეკვის ყველა ნაწილი ხალხურის მოტივებზე აიკინდა.

ვასაძეთა საკონცერტო გამოსვლებს მაყურებელი გულმხურვალედ ეგებებოდა. ერთნაირად, ხიბლიანად ასახიერებდნენ ქობულეთურ საცეკვაო წარმონაქმნებს, სხვაგვარად ქობულეთურ საცეკვაო დი-ალექტსაც რომ დავარქმევდით. თავიანთი სოლო ნაწილითაც ამასხიერებდნენ თავს მაყურებელს.

ალსანიშნავია, რომ ვასაძეები შესანიშნავად ცეკვავდნენ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსებზე. ორჯერ მოიპოვეს ოქროს მედლები და გახდნენ კიდევაც ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსის დაურეატივი. ამ ღირსეულ მიღწევებზე თემურ ვასაძე სიამოვნო საუბრობს, თვლის, რომ კონკურსებზე გასვლა დიდი პასუხისმგებლობაა, რისთვისაც მონაღობით უნდა ემზადებოდეს ცალკეული ჯგუფი თუ ინდივიდუალისტი. მთავარია, რომ განსხვავებული მანერით, ნახაზით, მუსიკალური თანხლებითა და თავისებური საცეკვაო მიგნებებით უნდა მოაწონონ თავი სპეციალისტებს, თვით ხელოვნების მოყვარულებს.

ცნობილი ქორეოგრაფი, ქობულეთის სახალხო ანსამბლ „ქობულეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, თემურ თხილაიშვილი გვაცნობს: „თემურ ვასაძე ანსამბლ „ქობულეთის“ წამყვანი ფოსლისტია. მის ყოველ გამოსვლას მაყურებელი ღია გულად, მაღლიანი ტაშით ეგებება. მეტად საამო, შთამბეჭდავ ილეთ-მოძრაობებს ასრულებს, სახასიათო სტილის რჩეული მოცეკვავეა. იგი ემიჯნება ყოველ-

ვარ ზერელობას. მუდამ შემოქმედებით მზადყოფნაშია. უაღრესად აკურატულია, ყოველთვის ცდილობს საცეკვაო სამოსელი კობტად მიორგოს ტანზე, რაც მის სცენურ კულტურაზე მეტყველებს. ასეთი მსახიობ-მოცეკვავენი სამაგალითონი არიან ახალგაზრდობისათვის, ქართული ცეკვის მომავალი თაობისთვის“.

ამგვარი სიტყვების ჭეშმარიტებას ახლო წლები გვახსენებს, სოფელ ქობულეთში ანსამბლ „ქობულეთის“ ორმოც წლისთავს მრავალრიცხოვანი მაყურებელი და ავტორიტეტული მოღვაწე დაესწრო. ძმებმა ვასაძეებმა ჩვეული სიკობტავით მეტი სიცხადე შემატეს საერთო საცეკვაო ზეიმს, რომელთა გვერდით სხვა ჩაქუროსნებიც სხივოსნობდნენ. სათქმელია ისიც, რომ ანსამბლმა „ქობულეთმა“ იმ დღეს შესაბამისი პროფესიონალური სახე აჩვენა, რაზეც დამაჯერებლად მსჯელობდნენ ცნობილი მოღვაწენი.

ალსანიშნავია, რომ თემურ ვასაძე, მისი ძმა ომარი და თემურ თხილაიშვილი იმავდროულად აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ვეტერანულ ანსამბლში ცეკვავდნენ (ქორეოგრაფი თამაზ ბეჟანიძე).

ეს ანსამბლი არცთუ იშვიათად გადიოდა ყოფილი „საბჭოეთის“ და ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში. საქართველოს მიღმა საკონცერტო გასვლებმა თემურ ვასაძეს ბევრი რამ შესძინა. საყურადღებოა, რომ „საზოგადოების“ სხვა მოცეკვავეების წარმატებას საკუთარ წარმატებად მიიჩნევდა.

თემურ ვასაძის შემოქმედებით და ცხოვრებისეული ბიოგრაფიის უცილობელი ნაწილია ისიც, რომ ნაყოფიერად მუშაობდა დამდგმელ-ქორეოგრაფად. ქართული ხალხური ცეკვები შეასწავლა თავისივე სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ასევე ქორეოგრაფად მუშაობდა სოფლების: გორგაძეების და ჩაისუბნის სკოლებში. ბავშვები მონადინებით ეუფლებოდნენ მცოდნე პრაქტიკოსი პედაგოგ-ქორეოგრაფის საცეკვაო ილეთ-მოძრაობებს.

ყველა ისინი საინტერესოდ გამოჰყავდა საბავშვო-ახალგაზრდულ დათვლიერებებზე.

1966 წელს თემურ ვასაძე სოფელ ხალას კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა. აქვე ჩამოაყალიბა საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი, შექმნა ვოკალური და სხვა სახის ნრეებიც, კლუბში ატარებდა შეხვედრებს, გართობის და დასვენების საღამოებს. ინვეცდა სოფლის მონიწივე მუშაკებს, ვეტერანებს. ერთი სიტყვით, სოფლის ცხოვრება არ რჩებოდა მისეული საკლუბო მუშაობის მიღმა.


კულტურის სახლის ხელმძღვანელი სოფლის ხალხს ძალიან უყვარდა. პატივს სცემდნენ მის კეთილ კაცობას, შემოქმედებით ნიჭიერებას, ღირსეულად განვლილ წლებს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მონიწივეობას, მისაბამ საქმიანობას მუდამ ახლავს შესაბამისი შედეგი. 1973 წელს საკუთარ დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის თემურ ვასაძე დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით. თავისთავად ამ ჯილდომ შეავსო ჯილდოთა ჩამონათვალი. რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობაში მოპოვებული წარმატებისათვის მას მიენიჭა ლაურეატის ნოდებანი. თითოეული მათგანი, როგორც თვითონ ამბობს, სახალხო ანსამბლ „ქობულეთის“, აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და ოჯახური ჯგუფების ასპარეზობაში რჩეულად მუშაობას უკავშირდება, რაშიც ნაგულისხმევია მისი ინდივიდუალური ოსტატობაც.

1984წლის შემოდგომამ ბატონ თემურს შემოქმედებითი ცხოვრების გვაიანი შემოდგომა მოუტანა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით აჭარის დამსახურებული არტისტის ნოდება მიენიჭა.

სასახელო ჯილდომ მეტი ძალა და

სულისკვეთება შემატა, უფრო გატაცებით, სისხლბორცეულად ჩაება ცეკვის სასიკეთო სამსახურში. საამისოდ ყველანაირად აქტიურობდა, კერძოდ ის, რომ გაერთიანებული, მონიწივე ანსამბლების დიდ კონცერტში მონაწილეობდა. საპატიო



ომარ ვასაძე

სტუმართა შეხვედრებზე მოუხმობდნენ. თავის ძმასთან ერთად არცთუ იშვიათად გამოდიოდა მთავრობის ღონისძიებებსა და საერთო-სახალხო დღესასწაულად ნოდებულ „თბილისობას“ და „ბათუმობაზე“.

მისი დაუვიწყარი, ვიტყვოდი, სიამაყით საესე წარმატებანი მაინც ანსამბლ „ქობულეთის“ უკავშირდება. 1999 წლის დეკემბერში ბათუმის დრამატულ თეატრში აჭარის საგუნდო და საცეკვაო კოლექტივები ასპარეზობდნენ. მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა „ქობულეთის“ გამოსვლამ. ხალხური სიმღერების ღრმად მცოდნე ოსტატის სულიკო მამულაიშვილის გუნდმა ნამდვილი ზეიმი გამართა მხილველთა წინაშე. გვაიანი ტაში და შეძახილები ახლდა თითოეულ სიმღერასა და ცეკვას. თემურ თხილაიშვილის ხატოვანი „ფერხული-ფარცა“, მჩქეფავე „ხორუმი-განდაგანა“ და „ჩამოსარები“ მიგნებული სასიმღერო ინტონაციებით იფურცლებოდა კმაყოფილებით საესე მაყურებელში... ყველანი გამორჩევით ცეკვავდნენ, ძმები ვასაძეების სახიერებამ ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ვერ ვიტყვოდი ვინ ვის სჯობნიდა, უფროსი ძმა უმცროსს თუ პირუკუ. უდაოა, რომ „ქობულეთელეებმა“ სახელოვნად იმარჯვეს, იმარჯვა ანსამბლურმა შემართებამ, ტრადიციულობის ერთგულებამ და შემოქმედებითი ძიების ნიჭიერებამ.

ასე, რომ თემურ ვასაძის სცენურმა ხელოვნებამ ბევრი სიხარული, საამო წლები დაამახსოვრა. ზოგიერთზე ზემოთაც აღვნიშნა, ზოგი კიდევ აუცილებლად საცოდნელია. საკუთრად ის, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მას მიანიჭა ეროვნული პრემიის ლაურეატობა და დაჯილდოვდა ოქროს მედლით. მომდევნო წელს, 2012 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაეცა ღირსების ორდენი.

... 75 წლის ომარ ვასაძე საკმაოდ მხნედ გამოიყურება. ისევ „იღვნის, იწვის, არ ისვენებს“, ეხმარება ქორეოგრაფიის მესვეურებს, კონსულტაციას უწევს სოფელ ხალას ბავშვთა ანსამბლს. მთავარია, რომ იმედით შეჰყურებს ქართული ცეკვის ხვალისდელ დღეს. იცის, რომ გვეზრდება ახალი, ნათელი გონებისა და აზროვნების მომავალი თაობა, რომელთა მღელვარე გულში ფეთქავს მარადიულობის გაუხუნარი იდეა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

**ზაურ ლაზიშვილი,**  
აჭარის დამსახურებული არტისტი,  
საქართველოს დამსახურებული პედაგოგი,  
ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს  
ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



ქორეოგრაფიული კვლევები

# როგორ შეიქმნა ნეკვა „განდაგანა“ („ჯაყლანანადან“ „განდაგანამდე“)

„სიმღერა ადამიანის სულში ბუდობს, ცეკვა — მთელ სხეულში“. ისრაფილ ღიასაშიძე

ხელოვნება ეკუთვნის ხალხს და მისი ხელყოფა არ მოიტანს კარგ შედეგს, რადგან მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია სხვადასხვა ეროვნების, რწმენის და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანების დაკავშირება ერთმანეთთან, მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია ორი მტრულად განწყობილი ადამიანი შეარიგოს ერთმანეთს, მხოლოდ ასეთი აზროვნების ადამიანებს, ერს შეუძლია სიყვარული და კეთილი განწყობა ერთმანეთში.

ხანგრძლივი და მძიმე პერიოდი განვლო აჭარამ სხვადასხვა ქვეყნების ბატონობის ქვეშ. არა ერთ დამპყრობელს უთარეშია ძირძველ ქართულ მინაზე. არაერთხელ დაღვრილა ქართველი კაცის სისხლი ეროვნების, რწმენის და საკუთარი მიწის შესანარჩუნებლად. ვინ მოსთვლის, რამდენი ქართველი კაცი შეინირა მომხდურთა უსამართლო უღელტა-ხოცვამ, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მოესპო, გაენადგურებინა, მონად ექცია ქართველი ერი.

ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან დაწყებული მონღოლთა 100 წლიანმა თარეშმა არ მისცა განვითარების საშუალება, ამას მოჰყვა სპარსთა და თურქთა ბატონობა საქართველოში. ესეც არ დარჩა საკმარისი და ორასწლიანი რუსის ჩეჟმა. ვის არ უთარეშია საქართველოს მინაზე, მისი დასაკუთრებისა და ხალხის დასამონებლად, მაგრამ ვერ გატეხა წელში და ვერ ამოძირკვა ქართველი კაცის სისხლსა და ხორციში გამჯდარი ეროვნების, მიწისა და რწმენისადმი სიყვარული. თუ თურქმა სანჯაყებმა, რუსმა გუბერნიებმა და კომუნისტურმა წყობამ რაიკომებმა დაჰყო საქართველო, თუ თურქმა 300 წელი იბატონა აჭარაში, დღეს იგი გაერთიანებულია დედა სამშობლოში. თუ აქამდე ცდილობდა ყველა დამპყრობელი დაემკვიდრებინა მისი ენა, რწმენა და ადათ-წესები, დღეს ესწავლობთ, ვლადპარაკობთ, ვლოცულობთ და მოვილხენთ მშობლიურად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა დიდი დალი დაასვა აჭარაში, სხვა დარგებთან ერთად, ქორეოგრაფიის განვითარებას. სარწმუნოების შეცვლამ დააიცვალა ქალი და კაცი ერთმანეთს. ამან გამოიწვია სოფლად თუ ქალაქად ცვლილებები ხელოვნებაში, კერძოდ ცეკვაში, სიმღერაში. გამომდინარე აქედან, დღემდე საკამათო თემად რჩება ცეკვა „განდაგანას“ წარმოშობის ისტორია.

შორეული წარსულიდან იღებს სათავეს ცეკვა „განდაგანას“ საბაზისო ცეკვები. იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ „განდაგანას“ შექმნის ისტორიაში, საჭიროა ჯერ შევისწავლოთ მისი საბაზისო ცეკვების ისტორია, განსაკუთრებით ცეკვა „ჯაყლანანას“.

„ჯაყლანანა“ ძველთაძველი, აჭარული კუთხური ცეკვაა. იგი შეიქმნა შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ აჭარაში მოსახლეობის დასახლების დღიდან. იგი ქალ-ვაჟის ცეკვაა და მთავარ როლს ასრულებს ცეკვა „განდაგანაში“ მისი შექმნის დღიდან, რომელმაც იარსება 1820-იან წლებამდე. ამ წლებიდან იწყება მისი დანაწევრიანება ცალკეულ ცეკვებად, რაც გაგრძელდა 1930-იან წლებამდე. ამავე წელს ცნობილი გახდა, რომ „ჯაყლანანას“ დანაწევრიანების შედეგად შეიქმნა 26 სხვადასხვა კუთხური ცეკვა სხვადასხვა სახელწოდებებით („ჯაყლანანას“ დაშლის მიზეზები იხ. ცეკვა „ჯაყლანანას“ განმარტება).

მრავალი სხვადასხვა აზრი შექმნა ცეკვა „განდაგანას“ შექმნის შესახებ, მაგრამ არსებობს გარკვეული ცნობები, გადმოცემები იმის შესახებ, თუ როდის და როგორ შეიქმნა ცეკვა.

1926 წელს ტანვარჯიშის განვითარების მიზნით, აჭარაში მივლინებულ იქნა ცნობილი ტანვარჯიშე დავით ჯავრიშვილი, შეიქმნა აუცილებლობა, რომ იგი გასულიყო აჭარის მალაღმთიან რაიონებში, კერძოდ: ხულოში, შუახევში, ქედაში ვითარების შესასწავლად.



საინტერესო აღმოჩნდა დ. ჯავრიშვილისათვის აჭარული კუთხური ცეკვების ილეთ-მოდრაობები და მიზნად დაისახა შემდგომ გამოეყენებინა ტანვარჯიშში.

იმისათვის, რომ კარგად გათვითცნობიერებულიყო საცეკვაო ილეთებში, მან ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა ჯგუფი. აქ დაიდგა პირველად ცეკვები „ხორუმი“ და „ყოლსამა“, რაც შემდეგ გახდა მიზეზი დავით ჯავრიშვილის შემდგომი მოღვაწეობისა ქართულ ქორეოგრაფიაში.

1928 წელს ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული სტუდია, რომელიც 1929 წელს გააერთიანეს აჭარის „კაპელასთან“, ამის საფუძველზე შეიქმნა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

1935 წელს დავით ჯავრიშვილი გადაყვანილ იქნა თბილისში, რის გამო აჭარის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება.

1938 წელს, ქ. ბათუმში ქ. ფოთის სახ. ანსამბლის გასტროლებმა გადაწყვიტა ბათუმის ქორეოგრაფიული ანსამბლის მუშაობის განახლება, რისთვისაც მთავრობის წინადადებით მოწვეულ იქნა ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე ალექსანდრე (საშა) ჯიჯიშვილი. 1944 წლამდე იმოღვანა საშამ აჭარის ანსამბლში, ხოლო 1944 წლის თებერვლის თვეში მან გზა დაულოცა მისივე მოსწავლე-მოცეკვავეს ენვერ ხაბაძეს ქორეოგრაფიული მოღვაწეობისაკენ.

ამ დღიდან იწყება ენვერ ხაბაძის დიდი ხნის ჩანაფიქრი — აღედგინა და განეახლებინა ცეკვა „ჯაყლანანა“ ახალი სახელით „ქალ-ვაჟიანი“, ოღონდ უნდა გაენმინდა უხეში, საზოგადოებისათვის მიუღებელი, ვულგარული ელემენტებისაგან და ეს უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება ადრე, რომ არ დაკარგულიყო ქართული ეროვნული საუნჯის ერთ-ერთი უღამაზესი სახე.

ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ცეკვა „განდაგანას“ შექმნას, აღიარებას და პოპულარიზაციას.

„იმ დღიდან, როცა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელად დავინიშნე, გონებაში უკვე შექმნილი და ჩამოყალ-

იბებული მქონდა აღმედგინა აჭარული ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა დუეტი, ისე, როგორც ცეკვა „ქართული“, ოღონდ ჩვენებური, ჩვენი კუთხისათვის დამახასიათებელი, მთიელი ქალ-ვაჟისათვის შესაფერისი მოძრაობებითა და შინაარსით“, — იგონებს ბატონი ენვერ ხაბაძე.

მიდიოდა მზადება 1946 წლის ოლიმპიადისათვის, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ქ. თბილისში. აჭარის მთავრობის დავალებით შეიქმნა 9 კაციანი ჯგუფი, რომელთაც დაევალით ენახათ სიახლე აჭარის ხელოვნებაში. ჯგუფში შედიოდნენ ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი:

1. არჩილ ჩხარტიშვილი (სსრკ-ს სახალხო არტისტი)
2. ნადიმ ნიჟარაძე (კულტურის დამსახ. მოღვაწე, მეცნიერებათა დოქტორი)
3. ენვერ ხაბაძე (საქართველოს სახალხო არტისტი)
4. ალექსანდრე (საშა) ჯიჯიშვილი (საქართველოს სახალხო არტისტი)
5. შოთა მილორაძე (კომპოზიტორი)
6. არჩილ ჩიშკაძე
7. ბესარიონ კვერნაძე
8. მეგლუდ რიჟვაძე (მსახიობი)
9. ხარიტონ ახვლედიანი (მკვლევარი-ისტორიკოსი)

1945 წლის ივლისში ჯგუფი მიევიდა აჭარის მალაღმთიან რაიონებში. პირველი შეხვედრა კურორტ ბეშუმში შედგა. აქ ინახა ცეკვა „ფათიკო“, რომლის შინაარსით ქალ-ვაჟის გაცეკვება გადმოცემოდა. ცეკვას 4 მამაკაცი ასრულებდა, მათ შორის ერთი ქალის ტანსაცმლით ქალის როლს განასახიერებდა. აქ დაისახეს დადგმულიყო ცეკვა ქალ-ვაჟის შესრულებით. შემდეგი შეხვედრა სოფ. ხიხაძირსა და ფურტიოში მოხდა. ხიხაძირში ინახა ცოლ-ქმრის ასლან და გულფერ გაბაიძის დუეტი, რამაც გადაწყვიტა ცეკვის ბედი. ეს არც თუ იხე იოლი საქმე იყო, რადგან იმ დროისათვის მუსულმანური სარწმუნოების წესით ქალ-ვაჟს შორის მკვეთრი მორიდება იყო, მით უმეტეს ცეკვა-სიმღერაში.

ამ მიზნით გადაწყვიტა ენვერ ხაბაძემ გამოენახა ქალ-ვაჟი ცეკვის განსახორციელებლად. არჩევანი ანსამბლის სოლისტ ფატმა კობალაძეზე და თემელ მიქელაძეზე შეჩერდა, მაგრამ თემელ მიქელაძის უარის გამო არჩევანი, სომეხი ეროვნების, ჟან რეზელიანზე შეჩერდა.

1945 წელს ენვერ ხაბაძის მიერ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლში დაიდგა ცეკვა „ყოლსამა“ ანუ მხარული, ანსამბლის სოლისტ მოცეკვავე თ. მიქელაძის შესრულებით და ქალ-ვაჟის დუეტი „აჭარული სატრფიალო“.

1945 წლის თებერვლის თვეში, ქ. ბათუმის სახ. ცირკში და შემდეგ სახ. თეატრში შესდგა პროგრამის პრეზენტაცია, რომლითაც აჭარა უნდა წარმდგარიყო 1946 წლის ოლიმპიადაზე ქ. თბილისში. რეპერტუარში შედიოდა ახლადშექმნილი ცეკვებიც: „აჭარული სატრფიალო“ ანუ „ქალვაჟიანი“, როგორც უნდა ე. ხაბაძემ, ქალთა ცეკვა „თარნანინა“ და მამაკაცთა ცეკვა „მხარული“ ანუ „ყოლსამა“, ცეკვების გაერთიანებული ვარიანტი. ეს უპრეცედენტო მოვლენად იქცა ბათუმელი მსახიობისათვის, რაც ახალ აღმოჩენად აღიარეს.

მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა ცეკვა, ოღონდ სადაო საკითხად შეიქმნა ცეკვის სახელწოდება. არჩილ ჩხარტიშვილის მიერ წამოყენებულ იქნა წინადადება, ცეკვას შერქმეოდა „განდაგანა“, რადგან ცეკვის უმეტესი ილეთ-მოდრაობები სრულდებოდა განდაგან. ენვერ ხაბაძის მიერ „აჭარული სატრფიალო“ ან

„ქალვაჟიანი“ დასახელდა, რადგან ცეკვა შინაარსობრივად ქალ-ვაჟის ტრფიალს გამოხატავს.

სავალალოა, რომ არაერთ გაზეთშია გაშუქებული შეცდომები, რაც მკითხველში გაუგებრობას იწვევს. გაზეთი „როკვა“ გვაცნობს სტატიის სათაურით „როგორ შეიქმნა ცეკვა „განდაგანა“ (ავტორი არაა ცნობილი). გაზეთი გვაუწყებს, რომ ავტორს მასალები მიაწოდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის უფროსმა მეთოდისტმა ქალბატონმა თინა ღვინაძემ.

მასალებში დაცული ოქმი N4 გვამცნობს, რომ 1975 წლის 16 დეკემბერს შედგა საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიული სექციის სხდომა. სხდომას ესწრებოდა: მ. ჩიორნიძე, მ. შუბაშუკელი, მ. კობეშვიცი, მ. ბახტაძე, გ. გრიგოლიშვილი, ზ. ასათიანი, ბ. სვანიძე და თ. ღვინაძე.

საინტერესოა, მაშინ, როცა იხილებოდა „განდაგანას“ შექმნის ისტორია, რატომ არ ესწრებოდა აჭარის წარმომადგენლობა.

აქვე სხდომამ დაადგინა, რომ ცეკვის პირველი შემსრულებელი თეიმურაზ (თოფან) მელაძე გახლდათ და თუ ასეა, ვინ იყო მისი მწყვილე მანდილოსანი? როგორც ცნობილია, ქალ-ვაჟის დუეტი პირველად, 1945 წელს თებერვლის თვეში, ქ. ბათუმის სახელმწიფო თეატრში და შემდეგ სახ. ცირკში შესდგა, ფატმა კობალაძისა და ჟან რეზელიანის შესრულებით, შემდეგ კი 1946 წელს ქ. თბილისში ოლიმპიადაზე, ოპერისა და ბალეტის თეატრში იგივე შემსრულებლების მონაწილეობით.

საბოლოოდ არჩილ ჩხარტიშვილის წინადადება დარჩა ერთი დამატებით. რადგან სიტყვა „განდაგანა“ დაუსრულებელი აზრისაა, ნადიმ ნიჟარაძის შენიშვნით, სიტყვას უნდა დამატებოდა ასო-ბგერა „ა“. საბოლოოდ ცეკვას დაერქვა „განდაგანა“ და არა ისე, როგორც ზოგი უწოდებს — „განდაგანა“.

1946 წელს, თბილისში მსახიობებელმა პირველად ნახა აჭარული ცეკვების: „აჭარული სატრფიალო“, „თარნანინა“ და „მხარულის“ გაერთიანებული ვარიანტი, რაც სიახლედ იქნა აღიარებული ქართულ ქორეოგრაფიაში. 1947 წელს კი აჭარული კუთხური ცეკვების გაერთიანებული ვარიანტი იქნა წარვენები, რომელშიც შედიოდა 23 კუთხური ცეკვა, მათ შორის: 17 აჭარული და 6 თურქული სახელწოდებით.

რიგი ხელოვნებისა, მკვლევარებისა და ჟურნალისტებისა ცეკვა „განდაგანაში“ შემავალ ზოგ საბაზისო ცეკვას „განდაგანას“ უწოდებს. ასე მაგალითად:

2005 წლის 26 მაისის გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებული სტატია N96 სათაურით „ჯაყლანანადან“ „განდაგანამდე“ გვაუწყებს, რომ „აჭარის მთებში იშვა უღამაზესი და უნეტარესი ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა „განდაგანა“. ადრე მას „ყოლსამა“ ერქვა“. აქვე ვკითხულობთ, რომ „ზემო აჭარაში ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ქალ-ვაჟმა ერთად შეასრულა ცეკვა „ყოლსამა“.

უნდა გავიგოთ, რომ „ყოლსამა“ „განდაგანა“ არაა. „ყოლსამა“ თურქული სიტყვაა, რაც „მხრების ცეკვას“ ნიშნავს. ზემო აჭარაში, ჯერ კიდევ 1932 წელს, ხულოს კულტურის სახლის სცენაზე უცეკვია ცოლ-ქმარს გულფერ და ასლან გაბაიძეებს, სიმბარ ხალვაშს და ხულოს გაბაიძეს. 1936 წელს მამფერ გაბაიძეს და ხასან



# ქართული ქრონოგრაფიის დიდი მოჭირნახულე

ქართული კულტურის გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ადამიანთა პლევადს სამართლიანად ამშვენებს ქართველი ხალხის უნიკალური საუნჯის – ეროვნული ქორეოგრაფიის დიდი მოჭირნახულე და დაუღალავი პროპაგანდისტი ენვერ ხაბაძე.

განსაკუთრებულია ამ თვალსაჩინო მოღვაწის დამსახურება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აღორძინების, განვითარებისა და პოპულარიზაციის, მოცეკვავეთა თაობების აღზრდისა და დაოსტატების კეთილშობილურ საქმეში.

ენვერ ხაბაძის მრავალწლიანი და ნაყოფიერი შემოქმედება გამოირჩევა ხალხის ნიჭიერებითა და მნიშვნელოვანი შედეგებით. მის მიერ წლების მანძილზე დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით მოძიებულმა და ახლებურად ამეცხველებულმა ქართული ცეკვის ბრწყინვალე ნიმუშებმა, რომლებიც მშობლიური მიწის ფესვებიდან იღებს სათავეს, დიდი ხანია ფართო აღიარება და ხალხის სიყვარული მოიპოვეს. ხალხური ცეკვის ეს მაგრალიტები დღესაც ღირსეულად ამშვენებენ სხვადასხვა ანსამბლების რეპერტუარს.

ენვერ ხაბაძის სახელი, როგორც პროფესიონალი მოცეკვავისა, ქორეოგრაფისა და ნოვატორი შემოქმედისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული ცეკვის მრავალი კოლექტივის ჩამოყალიბებასთან აჭარაში და მათ აღიარებასთან და წარმატებებთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ენვერ ხაბაძის ღვაწლი, როგორც პედაგოგისა. მის მიერ აღზრდილია მოცეკვავეთა მრავალი თაობა, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობდნენ და ამშვენებდნენ სხვადასხვა ანსამბლებს, ბევრი მათგანი დღეს ცნობილი ქორეოგრაფები არიან და წარმატებით ემსახურებიან ქართულ კულტურას.

სავსებით კანონზომიერია ის, რომ დიდი მამულიშვილების, ილიკო სუხიშ-

ვილისა და ნინო რამიშვილის ლეგენდარულ ქართული ცეკვის აკადემიურ ანსამბლში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ბატონი ენვერის აღზრდილები, შესანიშნავი მოცეკვავეები: გივი ჩიჩუა, ალი ანთიძე, თეიმურაზ (თოფან) მელაძე, იური ცინცაძე, ედნარ მეგრელიძე, იაშა ხალვაში, თამაზ ჯახუტაშვილი, რაულ მამალაძე, გურამ ბაკურაძე და სხვები, რომლებმაც თავისი დახვეწილი ხელოვნებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანსამბლის შემოქმედებით წარმატებებში. პირადად მე ბედნიერი ვარ, რომ ბევრ მათგანთან, ჩემს მეგობრებთან ერთად, წლების მანძილზე მომიწია ამ დიდებულ ანსამბლში მოღვაწეობამ და ბევრჯერ გაგვიზიარებია მსოფლიოს სცენებზე ტრიუმფალური გამარჯვებების საერთო სიხარული.


ენვერ ხაბაძეს არასდროს მოჰკლებია ხალხის სიყვარული და პატივისცემა. რასაც ის უხვად გასცემდა სიტბოთი და სიყვარულით, ასევე უშურველად უბრუნდებოდა უკან მისი ხელოვნების მადლიერი დამფასებლების მხრიდან.

ენვერ ხაბაძის მიმართ უდიდესი სიყვარულის გამოვლინება იყო ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი ამავდარი ქორეოგრაფის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც თბილისიდან საგანგებოდ მიწვეული ქალბატონ ნინო რამიშვილთან და ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან ერთად უშუალო თვითმხილველი და მონაწილე ვიყავი ხელოვნების ამ დიდებული დღესასწაულისა.

ენვერ ხაბაძის შემოქმედების უმაღლესი აღიარება იყო 1998 წლის დეკემბერში, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს კულტურის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რე-

სპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული საიუბილეო საღამო, რომელიც ქართველი ხელოვნის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა. ეს საღამო ქართული კულტურისა და კერძოდ, ქორეოგრაფიული ხელოვნების ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა. დედაქალაქის საზოგადოებამ დამსახურებული პატივი მიაგო გამოჩენილ შემოქმედს.

ბატონი ენვერ ხაბაძე სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად და ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს. მას არ შეეძლო ცხოვრება ქართული ცეკვის გარეშე, რის თვალსაჩინო მაგალითიც არის მის მიერ 1991 წელს ქალაქ ბათუმის მერიასთან ჩამოყალიბებული ფოლკლორული ანსამბლი „ბათუმი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ახალი კოლექტივის შექმნა მოხდა საქართველოსათვის ურთულეს პერიოდში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევითა და თანადგომით განხორციელებული ეს მნიშვნელოვანი ფაქტი კიდევ ერთი გამოსახულება იყო ქართული კულტურისადმი მზრუნველობის თვალსაზრისით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ ენვერს, ანსამბლ „ბათუმის“ ჩამოყალიბების პერიოდში, სხვებთან ერთად ჩვეული ენერგიით გვერდში ედგა ქართული კულტურის ერთგული ქომაგი და შესანიშნავი მემატიანე, ქალაქ ბათუმის მაშინდელი მერი და შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი, ბატონი თეიმურაზ კომახიძე.



წმობილი ქართველი ქორეოგრაფის  
საქართველოს სახალხო ბრძნისტი  
**ენვერ ხაბაძის**  
დაბადებიდან 90 წლისთავი

ენვერ ხაბაძის დიდმა პროფესიონალიზმმა და შრომისმოყვარეობამ კეთილი შედეგი გამოიღო. ანსამბლმა „ბათუმმა“ სულ მალე მოიპოვა ქართული ცეკვისა და სიმღერის ჭეშმარიტ დამფასებელთა სიმპათია და საერთო მოწონება. ეს კოლექტივი, რომელსაც უკვე დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა, წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას და ღირსეული ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართულ კულტურაში. ეს კი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდი მოამაგის, დაუღალავი პროპაგანდისტისა და ამავდარი მამულიშვილის ენვერ ხაბაძის სახელის უკვდავებაა.

თინათინ უთმალია

6 აპრილს, 1938 წელს სურმანიძეს, 1938 წელს ნერიმან ბოლქვაძეს და თოფუზ გაბაიძეს, შადიე მესხს და ჰუსეინ გაბაიძეს. მაშინ ქალ-ვაჟთა წყვილ ცეკვას „ჯაყლანანა“ ერქვა და არა „ყოლსამა“.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა დავა იმის შესახებ, თუ ვინ იცეკვა პირველად „განდაგანას“ დუეტი პარტია პროფესიონალურ სცენაზე. ამის შესახებ გვექონდა საუბარი თვით ცეკვის ავტორთან ენვერ ხაბაძესთან. მისი განმარტებით, ესენი იყვნენ აჭარის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე მსახიობები: ფატმა კობალაძე და ჟან რეზელიანი, ამავე დროს სახელდება ცნობილი მოცეკვავე წყვილებიც, ესენია: გულიკო ნოლაიდელი და თეიმურაზ მელაძე, ფატი აჟიბა და თეიმურაზ და იაშა მელაძეები. მერი (ვერა) ლონგურაშვილი და მურმან მაკარაძე. თუ დავეყრდნობით თვით ცეკვის ავტორის გადმოცემას, პირველები იყვნენ ფატმა კობალაძე და ჟან რეზელიანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ცეკვა „ჯაყლანანას“ დაშლის შედეგად შეიქმნა 23 კუთხური ცეკვა. რამ გამოიწვია ეს? როგორც ცნობილია აჭარა 3 საუკუნე იმყოფებოდა თურქთა ბატონობის ქვეშ. იმისათვის, რომ იოლი გამხდარიყო ქართული მოსახლეობის დამორჩილება, განხორციელეს იძულებითი გამუსულმანება. მოსწყვიტეს სოფელი – სოფელს, შემოიღეს ჩადრი, რითაც დამალეს ქალის სახე, ააშენეს სოფლად მეჩეთები, ყოველივე ამან იმოქმედა ხალხის კულტურულ განვითარებაზე, კერძოდ, ხელოვნებაზე, ხალხურ შემოქმედებაზე, შესაბამისად

ქორეოგრაფიაზე, რის გამოც მოხდა ცეკვა „ჯაყლანანას“ დაშლა. განდა სოფლად თავისებური ცეკვები სხვადასხვა სახელწოდებით სხვადასხვა ხასიათისა, წარმოიშვა სხვადასხვა სახის ილეთ-მოძრაობები, სხვადასხვა შინაარსის გასართობი საცეკვაოები, კერძოდ:

1. მხარული
2. მუხლის ტეხვა
3. მკლავის ცეკვა
4. ტუტული ნანა
5. შეხტომილია
6. თახთახაი
7. ჯანჯალაი
8. ოტური
9. ჯამბაზობა
10. კანკალაი
11. ფაკითო
12. ატლატიტაი
13. ქალური
14. კოჭლის ცეკვა
15. თარნანინა
16. ხერტლის ნადი
17. აჭარული სატრფიალო — ქალვა-ყიანი
18. ყოლსამა
19. ყარშიბერი
20. აღირი
21. ლიზყირმე
22. ქოჩეგური
23. თოფალ ოინი
24. თამზარა — თურქული სახელწოდებით
25. კიზმენდილი
26. ყარაბალი
- აღნიშნული ცეკვები იყოფა სხვადასხ-

ვა ჯგუფებად და სახეებად, მათ შორის, თურქული სახელწოდებითაც: სახასიათო — გასართობი — 6

1. ტუტული ნანა
  2. ფადიკო
  3. ჯამბაზობა
  4. ჯანჯალაი
  5. ოტური
  6. ქალვა-ყიანი
- მამაკაცთა ცეკვები — 8
1. მხარული
  2. შეხტომილია
  3. თახთახაი
  4. მკლავის ცეკვა
  5. მუხლის ტეხვა
  6. მხრების ცეკვა
  7. ჯანჯალაი
  8. ქალური
- შრომის ამსახველი — 1
1. ხერტლის ნადი
- ქალთა ცეკვები — 2
1. თარნანინა
  2. ატლატიტაი
- ცეკვები თურქული სახელწოდებით
1. ყოლსამა
  2. თოფალ ოინი
  3. ყარშიბერი
  4. აღირი
  5. ლიზყირმე
  6. ქოჩეგური
  7. თამზარა
  8. კიზმენდილი
  9. ყარაბალი
- არ შეიძლება არ გავიხსენოთ და პატივი არ მივაგოთ, ვინც შემოგვინახა და ჩვენამდე მოიტანა ეს მართლაც უღამაზ-

ესი და დიდი სიყვარულის ზღაპრულად გადმოცემი ცეკვის „განდაგანას“ მემკვიდრეები:

ენვერ სულეიმანის ძე ხაბაძე, ავტორი, შემქმნელი, ფუძემდებელი, რომელმაც რელიქვიად დაგვიტოვა ქართველ ერს ცეკვები: „განდაგანა“, „ხორუმი“, „ლაზური“. არა ერთი წიგნი დანერგა მის ცხოვრებისა და ქორეოგრაფიაში მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ მაინც ამოუწურავია მისი ღვაწლი. ენვერ ხაბაძე, რომელმაც აღზარდა და დააკვალიანა არა ერთი შემოქმედი ქორეოგრაფი, მოცეკვავე, ისეთები, როგორებიც არიან: ფატმა კობალაძე, გულიკო ნოლაიდელი, მერი ლონგურაშვილი, თეიმურაზ მელაძე, იაშა ხალვაში, თამაზ ჯახუტაშვილი და სხვა ცნობილი მოცეკვავეები. ქორეოგრაფთაგან: ზაურ ლაზიშვილი, თამაზ ბუჟანიძე, რეზო ჭანიშვილი, ჯემალ ჩიჩუა, გივი ჩიჩუა, თემურ ფალავა, ზურაბ აბაშიძე, თემურ ბაგრატიონი და სხვა, რომლებიც თავის დროზე „განდაგანას“ ბრწყინვალე, ვირტუოზი შემსრულებლები იყვნენ საქართველოში. მათ ჩაუყარეს საფუძველი ცეკვა „განდაგანას“ განვითარებას საქართველოში. მათ დაამკვიდრეს ცეკვა „განდაგანა“ ცეკვა „ქართულის“ გვერდით.

ასე შეიქმნა ცეკვა „განდაგანა“. ასე მოვედით „ჯაყლანანადან“ „განდაგანამდე“.

ისრაფილ ღიასაშიძე  
ქორეოგრაფ-მკვლევარი





საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ძ.თბილისი №42 17/10/2013 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, გამოჩენილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე **შალვა გოგუაძე** დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ძ.თბილისი №41 28/09/2013 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, გამოჩენილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე ქართველიშვილი** დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ძ.თბილისი №38 28/09/2013 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით  
დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული და სამეცნიერო-თეორიული მოღვაწეობისათვის, გამოჩენილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე **დავით რუსია** დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ძ.თბილისი №35 22/08/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“  
დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდეს **რეზო ჩხეიძე**

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

ძ.თბილისი №45 06/11/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“  
დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდეს **ვახტანგი (რეზო) ბულია**

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/





საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის ბაზმეობის  
დ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი № 3.8. 28.09.2013 წ.

ენერ ხაბაძის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის, სხვადასხვა შემოქმედებითი პრემიისა და ჯილდოს მფლობელის, აკარაში მოღვაწე, აწარდაცვლილი ქორეოგრაფის ბატონ ენერ ხაბაძის 90 წლისთავის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ადგენს:

1. ცნობად იქნას მიღებული საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აკარის რეგიონალური ორგანიზაციის განცხადება #31 30.04.2013 ბატონ თეიმურაზ ბოლქვაძისათვის ენერ ხაბაძის პრემიის მინიჭების შესახებ;
2. მიენიჭოს ქ. ბათუმის ენერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელს თეიმურაზ ბოლქვაძეს ენერ ხაბაძის სახელობის პრემია.
3. დაევალოთ კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებს ო. ლავიძეს, ი. ტორაძეს და კავშირის პასუხისმგებელი მდივან-ფინანსურ მენეჯერს მ. გამისონიას დროულად მოაგვარონ პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები.

კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი № 29 17/06/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“

დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდება

1. ვანო (გია) ტორაძე ქ. როსტოვის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი.
2. გოზა შიომღვიმელი ქ. ნოვოსიბირსკის ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი.



კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №27 17/06/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“

დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდება

1. თიარ (სოსო) ფუტყაძე ყვარლის ზაფხულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „ყვარლის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი.

კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №33 8/07/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“

დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდება

- ვალერი ქესპლიანი ახალქალაქის ქორეოგრაფიული ანსამბლ „ჯავახეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №32 8/07/2013 წ.

ქსტავროპოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „დრუბა ნაროდვისათვის“  
„სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“  
წოდების მინიჭების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის:

1. მიენიჭოს ქსტავროპოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „დრუბა ნაროდვის“ (სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი იანის პიპოვი) „სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.

კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №40 17/10/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“  
დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამგდარის ორდენით“ დაჯილდოვდება:

- 1 თიანათ მუხრანელი ქ. სვანეთის კულტურის სახლის მენეჯერი.
- 2 თამარ მთიანელი ქ. ბათუმის მოსწიფე-ახალგაზრდობის სახლის ზემოთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მრეცხალის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მო. ქორეოგრაფი.
- 3 გიორგი გურგენიძე ქ. ბათუმის ზაფხულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მო. ქორეოგრაფი.
- 4 მამუკა მესხიშვილი ქ. სვანეთის ზაფხულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „მგას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი.
- 5 გოზა გრემლიშვილი იმარ მუხიძის სახ. ზაფხულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „მრეცხალის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი.
- 6 ზაზა მყვანაძე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
- 7 ნათა მოქია ქ. ბათუმის ზაფხულია ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ დირექტორი
- 8 დიდი ვარშაძე აკარის არ. ხალხური ცეცხის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბორჯომის“ მენეჯერი

კავშირის თავმჯდომარე ლ. კანიშვილი





# ფესტივალ-კონკურსი „ოქროს შაიოდგომა“

ამა წლის 26 ოქტომბერს, „თბილისი არტ-პოლის“ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ფესტივალ-კონკურსი „ოქროს შაიოდგომა“.

ლონისძიების ორგანიზატორები და მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ფილარმონია და „დამოუკიდებელ ურთიერთობათა კულტურის ცენტრი“.

ფესტივალში მონაწილეობას ლეზბოლბდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მონვეული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები. ორსაათიანმა პროგრამამ წარმატებით ჩაიარა. თითოეულმა ანსამბლმა ამ სცენაზე აჩვენა ქართული ხალხური ცეკვების მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება.

ფესტივალ-კონკურსზე წარმოჩინდა რამდენიმე ანსამბლი, რომელთა შრომასა და თავდადებას, გამოვლინათ თავიანთი მაქსიმუმი, უქმად და უკვალოდ არ ჩაუვლია. გამომდინარე აქედან, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა „სანიმუშო სახალხო საბავშვო ანსამბლის“ ნოდება მიანიჭა ქ. ქუთაისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მუშპარს“, რომლის ხელმძღვანელიც

გახლავთ ქორეოგრაფი **არმაზ ლიპარტელიანი**. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მის მიერ დადგმულმა კომპოზიციამ „ქართველის დედა“, რომელსაც წილად ხვდა ორგანიზატორთა და მასწავლებელთა აღფრთოვანება და ოვაციები.

იგივე ნოდება მიიღო სიღნაღის კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ქიზიყი“, რომელსაც სათავეში უდგანან ახალგაზრდა და ნიჭიერი ქორეოგრაფები **ლაშა გელაშვილი** და **თამარ ბელეღური**.

სცენაზე მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით წარმოჩინდა სამტრედიის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზრდა მოცეკვავისა“ (ქორეოგრაფი **დავით მელქაძე**). საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა აღნიშნული ანსამბლი წახალისების მიზნით წარადგინა „სანიმუშო სახალხო საბავშვო ანსამბლის“ ნოდებაზე.

კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით ანსამბლ „ზრდა მოცეკვავისას“ მიერ ფესტივალ-კონკურსზე წარმოდგენილი რეპერტუარი გადაიცა ტელეკომპანია „იმედის“ დილის ეთერში.

გადაცემაში აღნიშნული ღონისძიებისა და მთლიანად ქართული ქორეოგრაფიის სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ ვრცლად ისაუბრა საქ. ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ოლეგ ალავიძემ**.

ეს ღონისძიება გამორჩეული იყო იმიტომ, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირთან აქტიური თანამშრომლობისა და თანადგომისათვის, კავშირმა (თავმჯდომარე პროფესორი **რეზო ქანიშვილი**) საპატიო წევრებად აირჩია საქ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი ბ-ნი **გიორგი უშიკიშვილი** და ეროვნული ფილარმონიის გენერალური მენეჯერი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, პროფესორი, ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის კოლეჯის დირექტორი **ზაალ გამყრელიძე**.

ქ. თბილისის მერიამ კავშირის რეკომენდაციით კულტურის ამადარის მედლითა და ნოდებით დააჯილდოვა თბილისის მე-8 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „სალხინოს“ ღვანლმოსილი ქორეოგრაფი **ოლეგ ბაღდავაძე** და ანსამ-

ბლ „ფარის“ ახალგაზრდა ქორეოგრაფი **ლაშა მსხვილიძე**.

ვულოცავთ მათ ამ საპატიო ჯილდოებს და ვუსურვებთ წარმატებებს შემოქმედებით გზაზე!

როგორც აღვნიშნეთ, ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა, რისი დასტურიც იყო მასწავლებელთა ოვაციები და აპლოდისმენტები.

საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას უხდის თითოეულ ქორეოგრაფს, ანსამბლის ყველა მოცეკვავესა და მათ მშობლებს თანადგომისათვის და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ღონისძიების ორგანიზატორი, კულტურის ამადარი, ანსამბლ „კრწანისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ბ-ნი **ზაზა მყავანაძე**, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის დააჯილდოვა „საქართველოს ქორეოგრაფიის ამადარის ორდენით“.

**S O S!**

**გადავარჩინოთ გაზაფხულის**

**«საქართველოს ქორეოგრაფია»!**

დღეს, ყველას მოგვეხსენება, რომ ქვეყანა გასაჭირშია და ხალხშიც სიდუხჭირში ცხოვრობს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და განვლილ წლებს უკან ვეღარ დავიბრუნებთ. ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები ხვალ ჩვენი შვილების და შვილიშვილების გამოსასწორებელი იქნება და ამით უფრო და უფრო უკან დავიხევთ, თუმცა დღესაც შეგვიძლია ერთად დგომითა და ერთგულ მიზნისკენ სწრაფვით თითო წილი აგური დავდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა „გათითოკაცებულია“ დიდი ილიასი აზრ იყოს. ასე რომ ეფიქრათ ჩვენს დიდებულ წინაპრებს, დღეს ჩვენც აზრ ვიქნებოდით. დღეს გაგაკეთოთ ერისთვის სასარგებლო საქმე, დღეს დაფიქროთ ჩვენი ქვეყნის ქორეოგრაფიული ისტორია, რომ ეს მომდევნო თაობებმა გააგრძელონ. ყველა დაძვინჯებით, რომ გაზეთმა უნდა იცოცხლოს და დღეს თქვას თავისი სათქმელი, რომ ხვალ გვიანი აზრ იყოს. დღეს ჩვენ „ვთესთ და ხვალ დამერთი მოგვიძის!“

**თანადგომის მსურველები დაგვიკავშირდით:**

მობ.: 558 19 00 14; 599 77 50 85.

**წინასწარ გიხდით მადლობას, გაზეთის რედაქტორი გუსუდან კენჭოშვილი**



# ფესტივალების კოლაჟი

საქართველოს ქორეოგრაფიის ეოლგანეთა შეოქმელებითი კავშირი  
**CREATIVE UNION OF THE CHOREOGRAPHERS OF GEORGIA**  
 ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო საბავშვო  
 და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2014“  
**INTERNATIONAL FOLKLORE (CHOREOGRAPHIC) CHILDREN AND  
 YOUTH FESTIVAL – CAUCASUS 2014**  
 1-10/07/2013





C  
M  
Y  
K



<p><b>საქართველოს ქორეოგრაფია</b></p> <p>მის: თბილისი, ბ. ტატილაშვილის ქ. №8</p>	<p><b>სარედაქციო საბჭო:</b></p> <p>რეზო ჭანიშვილი, ოლეგ ალავიძე, რევაზ ბალანჩივაძე, უჩა დვალისხილი, ზაურ ლაზიშვილი, ნინო მდევაძე, ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე.</p>	<p>საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბასზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.</p>	<p>რედაქტორი: <b>რუსუდან კანჭოშვილი</b></p> <p>ტელ.: 2 35 48 41 558 19 00 14</p> <p>Facebook – საქართველოს ქორეოგრაფია <a href="http://www.qor.org.ge">www.qor.org.ge</a></p>
--	---	---	---